სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 47

2023 წლის 6 აპრილი

ქ. თბილისი

კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიის დამტკიცების შესახებ

„კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 172/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2023 წლის საგრანტო კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 7 თებერვლის N16 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ე“ ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N387766, 06.04.2023) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სია ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია
1	CS-I-23-027	ობსიდიანის ტრანსპორტირება და Homo Sapiens-ის მობილურობა დასავლეთ ამიერკავკასიაში ადრე ჰოლოცენის ხანაში	აჭარის მუზეუმი	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	CS-II-23-067	ინტერდისციპლინარული საზაფხულო სკოლა - „გამოიკვლიეთ კავკასია, იმპერიების გზაჯვარედინზე"	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2023 წლის 21 აპრილის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვანი და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2023 წლის 10 მაისისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის 6 აპრილის №47 ბრძანებით

2023 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების რანჟირებული სიები

პირველი ლოტი - კავკასიის რეგიონის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევითი პროექტები

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია	ჯამური შეფასება
1	CS-I-23-027	ობსიდიანის ტრანსპორტირება და Homo Sapiens-ის მობილურობა დასავლეთ ამიერკავკასიაში ადრე ჰოლოცენის ხანაში	აჭარის მუზეუმი	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
2	CS-I-23-032	XIX საუკუნის კავკასიის უცნობი კოლექცია - თაზაქენდის სამაროვანი	საქართველოს ეროვნული მუზეუმი		9

მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებისთვის

ა) კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმებისათვის

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ჯამური შეფასება
1	CS-II-23-044	კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და პერსპექტივები.	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14

ბ) სეზონური სკოლებისათვის

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ჯამური შეფასება
1	CS-II-23-067	ინტერდისციპლინარული საზაფხულო სკოლა - „გამოიკვლიეთ კავკასია, იმპერიების გზაჯვარედინზე“	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	40